**ამონარიდი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის დასკვნიდან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) შესახებ**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა - პედაგოგთა პროფკავშირმა, ეროვნული რკინიგზის პროფკავშირმა, ჯანდაცვის მუშაკთა პროფკავშირმა, საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირმა, კომუნიკაციის სექტორში დასაქმებულთა პროფკავშირმა, ენერგო სექტორში დასაქმებულთა პროფკავშირმა და ხელოვნების პროფკავშირებმა გვაცნობეს, რომ მთავრობა განაგრძობდა აღნიშნული პროფკავშირების საქმიანობაში ჩარევას მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით არჩევნებამდე პერიოდში.

ხელისუფლება ასევე აგრძელებდა აღნიშნული პროფკავშირების საწევრო ანარიცხების აგროვების ხელის შეშლას. ყოფილი ხელისუფლება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს, რკინიგზის სფეროში დსაქმებულთა პროფკავშირს და ჯანდაცვის მუშაკთა პროფკავშირს ნებას არ რთავდა მიეღოთ საწევრო ანარიცხები ეგრედწოდებული კოლექტიური გადარიცხვის მეთოდით. აღსანიშნავია, რომ სპმთპ-სა და რკინიგზელთა პროფკავშირს ორივეს გააჩნია ვადიანი კოლექტიური ხელშეკრულებები ადმინისტრაციებთან, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო საწევროების გადარიცხვა.

ყოფილი ხელისუფელება ასევე ზღუდავდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს მიეღო საწევროები საბანკო სისტემის საშუალებით. სპმთპ-ს აკრძალული ჰქონდა ჩაეტარებინათ შეხვედრები სკოლებში, როდესაც პარალელურ რეჟიმში პროფესიული სინდიკატს, რომელიც გახლავთ მთავრობის მიერ შექმნილი პროფკავშირი და მათ წარმომადგენლებს ჰქონდა უფლება ჩაეტარებინათ შეხვედრები სკოლებში მასწავლებლებთან. სპმთპ- ზე განხორციელებულმა ზეწოლამ და შეზღუდვებმა გამოიწვია ორგანიზაციის ფუნქციონირების უნარიანობის შესუსტება .

ყოფილი ხელისუფლება ასევე ერეოდა სპმთპ-ის შიდა საარჩევნო პროცესში. სასამართლო პროცესი რომელიც 2010 წელს წამოიწყეს პროფესიული სინდიკატის წევრებმა და ეჭვქვეშ დააყენეს სპმთპ-ის პრეზიდენტად მაია კობახიძის ერთსულოვნად არჩევა 2012 წლის აპრილში გადაწყდა მაია კობახიძის სასარგებლოდ. სინდიკატის მომხრეები აგრძელებენ სასამართლო საქმის გასაჩივრებას.